დამტკიცებულია შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 04 მარტის N03 გადაწყვეტილებით

შპს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტის
ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების
განვითარებისა და განახლების მექანიზმები

ბიბლიოთეკის თანამშრომლები მჭიდრო კომუნკაციაში არიან უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულთან. რის მეშვეობით ბიბლიოთეკას იღებს მუდმივად განახლებულ ინფორმაციას უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის არსებული და პოტენციური საჭიროებების შესახებ.

ბიბლიოთეკის წარმომადგენლები აფასებენ პირველადი მომხარებელების საინფორმაციო საჭიროების მოცულობას და დეტალიზაციის ხარისხს. პრეფერენცია ენიჭება ისეთ რესურსებს, რომელთა მოცულობა და დეტალიზაცია მაქსიმალურად შეესაბამება იდენტიფიცირებულ საჭიროებებს და მათი გამოყენებადობის მაღალ ხარისხს.

შეძენის საჭიროების განხილვისას ბიბლიოთეკის წარმომადგენელი აფასებს შესაბამისი მიმართულებით უკვე არსებული ბაზის ძლიერ და სუსტ მხარეებს. რესურსზე არსებული მოთხოვნის გათვალისწინებით ზუსტდება ეგზემპლარების რაოდენობა.

<u>ხარისხი.</u> რესურსის ხარისხის შეფასებისას განიხილება ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა ავტორის რეპუტაცია, გამომცემელი, თანაავტორები, სარედაქციო კომიტეტი, ილუსტრაციების ხარისხი და მნიშვნელობა, ბიბლიოგრაფია. აღნიშნული ფაქტორები განიხილება კომპლექსურად რესურსის ხარისხის საერთო შეფასების მიზნით.

<u>სიახლე.</u> საბაზისო და კლინიკური დისციპლინები საჭიროებენ განახლებულ და უახლეს ინფორმაციას. შესაბამის მიმართულებებში უპირატესობა მიენიჭება ისეთ რესურსებს, რომლებიც შეიცავს განახლებულ და რევიზირებულ ინფორმაციას.

ფასი. რესურსის ფასეულობა საბიბლიოთეკო ბაზისათვის არ იზომება მხოლოდ მისი ფასით. თუმცა სხვა კრიტერიუმებთან ერთად ფასიც განიხილება რესურსის შეფასების პროცესში. „უფასო“ რესურსის შეფასების პროცესში უნდა იქნას გათვალისწინებული მათი დამუშავების, კატალოგიზების, განთავსების და შენახვის ხარჯები.

1. რესურსების შერჩევა

    - რეგულარულად ხდება გამომცემლობათა კატალოგებისა, ასევე დისიპლინების მიხედვით ელექტრონული რესურსების და სხვა შერჩევის ინსტრუმენტების გაცნობა და განხილვა. ხორციელდება განსახილველი და დასამტკიცებელი სახელმძღვანელოების სიის შემუშავება.
    - უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს არსებულ რესურსებზე ელექტრონული ხელმისაწვდომობის ზედამხეველობა.

- ხორციელდება რეკომენდაციების მომზადება და დოკუმენტაციის მომხადება ახალი ელექტრონული რესურსების მოთხოვნის შესახებ. აღნიშნული სიები მტკიცდება ბიბლიოთეკის კომიტეტის მიერ და წარედგინება რექტორს დასამტკიცებლად.
- უწყვეტ რეჟიმში ხდება განახლებული ლიტერატურისა და ელ. რესურსების შესახებ აკადემიური პერსონალისა და სტუდეტების ინფორმირება.

2. სერვისები და მათი განვითარება

- პერსონალისა და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია კონსულტაციები და საჭიროების შემთხვევაში მათ უტარდებათ ინსტრუქტაჟი ახალი საინფორმაციო, სასწავლო და კვლევითი რესურსებისა თუ ინსტრუმენტების, ასევე მათთან წვდომის საშუალებების შესახებ.
- საინფორმაციო რესურსები (წიგნი, სახელმძღვანელო, ატლასი, პერიოდული გამოცენა, კომპაქტ–დისკი, ვიდეო ფაილები) განთავსებულია ბიბლიოთეკაში და ხელმისაწვდომია პერსონალისა და სტუდენტებისთვის.
- არსებობს და გამართულია წვდომა საბიბლიოთეკო ინსფრაქტუქტურასთან, ბაზასთან, კოლექციებთან და სისტემებთან, მათ შორის პარტნიორობისა და კონსორციუმების გამოყენებით.
- პერიოდულად ხორციელდება მომხმარებლების აზრის კვლევა არსებული რესურსებისა და სერვისების შესახებ დამოკიდებულების და საჭიროებების შესახებ, ხდება რეკომენდაციების მიღება. კვლევის შედეგების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე შემუშავდება ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარების გეგმა.

3. ტექნიკური რესურსების მონიტორინგი და განახლება:

- ტექნიკური რესურსების მონიტორინგს და შეფასებას ახორციეებს ტექნიკური პერსონალი, რომელიც პასიხისმგებელია შესაბამისი აღჭურვილობის გამართულობაზე და საჭიროების შემთხვევაში განახლება–შეძენაზე.